



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-633/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.  
„ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ დამკვირვებლის  
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ ხელმძღვანელის ალბერტ ნურბეგიანის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 16 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5720) შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 9 ოქტომბრის №02-214/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - კარენ ნანუმიანს.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი